საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2470-03
27/08/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს №2226-03 ბრძანებით გამოცხადებულ სამაგისტრო პროგრამებზე მიღების ფარგლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრანტობის კანდიდატთათვის საგამოცდო და სააპელაციო ვადების განსაზღვრის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საგამოცდო და სააპელაციო შედეგების განთავსების ვადების და სხვა დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს №2226-03 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2020 წლის 13 აგვისტოს დეკანის ბრძანების N2237-03 მეექვსე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6.ზუსტი ინფორმაცია გამოცდის შესახებ (კონკრეტული გამოცდის თარიღის და დროის) მაგისტრანტობის კანდიდატის (მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის მითითებით) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ერთი თვის ვადით, გამოცდის ჩატარებამდე, არაუგვიანეს **29 აგვისტოს“ ;**

2. 2020 წლის 13 აგვისტოს დეკანის ბრძანების N2237-03 მეშვიდე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ერთი თვით ვადით განთავსების მიზნით 2020 წლის **17 სექტემბერს** მიეწოდოს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები - აპელაციის შედეგების და ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ რეგისტრაციის დროს მინიჭებული კოდის, შეფასების, ფაკულტეტის/სკოლის და პროგრამის მითითებით“ ;

3. 2020 წლის 13 აგვისტოს დეკანის ბრძანების N2237-03 მერვე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს შემდეგი გრაფიკით:
ა) **ძირითადი** სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან 2020 წლის **18-19 სექტემბერს**, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, **S** კორპუსი აუდიტორია 103-ში (მისამართი: გ.წერეთლის, 3);

ბ) **სათადარიგო** სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან 2020 წლის **21 და 22 სექტემბერს**, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, **S** კორპუსი აუდიტორია 103-ში (მისამართი: გ.წერეთლის, 3);

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

დავითი თარხნიშვილი

დეკანი